ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის
ო ქ მ ი №01-06/17

დაბა ქედა, 24 ნოემბერი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 12:45 საათზე.

საკრებულოს სხდომას სიითი შემადგენლობის 21 წევრიდან 17 ესწრებოდა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან ცინცაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რომან დავითაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;
რეზო თურმანიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ამირან წულუკიძე - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;
ოთარ ხარაძე - სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
მერაბ ნაკაშიძე - საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ბერიძე - საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე;
ლევან ვერმაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე;
ჯიმშერ სამნიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
მარინა ბარამიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა გორგილაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;,
მზია ბოლქვაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა ჟღენტი - საკრებულოს წევრი;
ჯემალ დავითაძე - საკრებულოს წევრი;
შორენა კარანაძე - საკრებულოს წევრი;
დავით სირაბიძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე;
მამუკა გოგოლიშვილი - საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
ვაჟა აბულაძე - საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;
მინდია არძენაძე - საკრებულოს წევრი;
ირაკლი მახარაძე - საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე;
არჩილ გორგილაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნონა თებიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №01-06/17 მორიგი სხდომა

საკრებულოს წევრების სარეგისტრაციო ფურცელი

24 ნოემბერი, 2023 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან ცინცაძე	საკრებულოს თავმჯდომარე	
2	რომან დავითაძე	თავმჯდომარის I მოადგილე	
3	რეზო თურმანიძე	თავმჯდომარის მოადგილე	
4	არჩილ გორგილაძე	თავმჯდომარის მოადგილე	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
6	ლევან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
7	ოთარ ხარაძე	კომისიის თავმჯდომარე	
8	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
9	ვაჟა აბულაძე	კომისიის თავმჯდომარე	
10	ლევან ვერძაძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
11	დავით სირაბიძე	ფრაქციის თავმჯდომარე	
12	მამუკა გოგოლიშვილი	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
13	ჯიმშერ სამნიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
14	მარინა ბარამიძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
15	გოჩა გორგილაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
16	ირაკლი მახარაძე	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	
17	მზია ბოლქვაძე	საკრებულოს წევრი	
18	შორენა კარანაძე	საკრებულოს წევრი	
19	მინდია არძენაძე	საკრებულოს წევრი	
20	გოჩა ჟღენტი	საკრებულოს წევრი	
21	ჯემალ დავითაძე	საკრებულოს წევრი	

სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ წარმოადგინა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ნოემბრის №01-06/17 მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

1. **„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

2. **ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2023 წლის III კვარტლის შესრულების ანგარიში.**

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ჯემალ ტაკიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :
დამტკიცდეს: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ნოემბრის №01-06/17 მორიგი სხდომის დღის წესრიგი პროექტი.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ გააკეთა განცხადება და უკმაყოფილება გამოთქვა სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ოთარ ხარაძის მიერ 29 სექტემბრის მორიგ სხდომაზე დაფიქსირებულ აზრთან დაკავშირებით, სადაც არასწორი ინტერპრეტაციით გაჟღერდა მის მიერ ერთერთ საკრებულოს სხდომაზე დაფიქსირებული აზრი, რომ ქედის მუნიციპალიტეტში 14171 ოჯახი იღებდა სოციალურ დახმარებას, რაც არ შეესაბამებოდა სიმართლეს, რადგან მის მიერ ნათქვამი ეს ციფრი ასახავდა მონაცემდა ბაზაში რეგისტრირებულთა რაოდენობას და არა სოციალური პროგრამით მოსარგებლე ოჯახებს. წარმოდგენილი მონაცემები ეყრდნობოდა ოფიციალურ სტატისტიკის მონაცემებს, რომელიც გამოქვეყნებულ იყო გაზეთ „ბათუმელებში" და შემდეგ საკრებულოს წევრებს მიმართა წინადადებით, სამომავლოდ საკრებულოს სხდომების მიმდინარეობა პირდაპირ რეჟიმში გაშუქებულიყო, რაც მოსახლეობას საშუალებას მისცემდა თვალ-ყური ედევნებინათ სხდომების მიმდინარეობის პროცესს და საკრებულოს წევრების აზრების დაფიქსირებას. ასევე იკითხა, როდის მოხდებოდა სასმელი წყლის პრობლემის მოგვარება სოფელ კოლოტაურში.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ოთარ ხარაძემ დავით სირაბიძის განცხადებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სხდომაზე არავის მიმართ არ ჰქონია ბრალდება და საერთოდ არ უხსენებია დავით სირაბიძე. მისი განცხადებით სწორედ სოციალურ ბაზაში რეგისტრირებული მოსახლეობის რაოდენობა არასწორი ინტერპრეტაციით გავრცელდა მედიაში და სოციალურ ქსელში, ამიტომ ინფორმაციის დაზუსტების მიზნით იქნა მოწვეული

საკრებულოს ერთერთ სხდომაზე სოციალური სააგენტოს წარმომადგენელი, სადაც საკრებულო გაეცნო სოციალური ბაზის მონაცემებს და მდგომარეობას.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ სოფელ კოლოტაურში სასმელი წყლის საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ მილები მოსახლეობას საჭიროების შემთხვევაში მომავალშიც გადაეცემოდა პრობლემების აღმოსაფხვრელად. ასევე, აღნიშნა თუნუქის სახურავებით დახმარებასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია მოქალაქეს სრულყოფილად გადაეცეს საჭირო სახურავის რაოდენობა და მასალები, რათა პრობლემა მოუგვარებელი აღარ დარჩეს.

1. მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა, მუხრან სალაძემ საკრებულოს წარუდგინა „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (წერილის ნომერი 95-95232994, 26.10.2023 წელი; კომისიის დასკვნა წერილის ნომერი დ95.95233264, 22.11.2023 წელი) და განმარტა, რომ ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილების ცვლილება საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის ცვლილებიდან გამომდინარე. ვინაიდან საკრებულოს საქმიანობა მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი პრიორიტეტული და მასშტაბურია, აქედან გამომდინარე საზოგადოებასთან ურთიერთობა ორგანიზაციაში მმართველი რგოლის განუყოფელი ნაწილია, მასზეა დამოკიდებული ორგანიზაციის იმიჯისა და რეპუტაციის შექმნა და შენარჩუნება, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის როლი იქნება დაგეგმოს და განახორციელოს ორგანიზაციის მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო სტრატეგიები, ასევე უზრუნველყოს ორგანიზაციის მმართველი პირების საჯარო უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობა საზოგადოებასთან ურთიერთობის მუშაობის მთავარი პრინციპის - საზოგადოების ინტერესების დაცვითა და ორმხრივი კომუნიკაციის დამყარებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიღებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
(დადგენილება N:12 , 24.11.2023 წელი).

2. მოიმინეს: ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2023 წლის III კვარტლის შესრულების ანგარიში.

მომხსენებელმა ჯემალ ტაკიძემ საკრებულოს წარუდგინა ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2023 წლის III კვარტლის შესრულების ანგარიში (წერილის ნომერი: 12-95233123-95, 08.11.2023 წელი).

აზრი გამოქვეს:

საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე დავით სირაბიძემ იკითხა, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე წარმოედგინა 2021 წელს მერიაში დასაქმებულთა (შტატით და შტატგარეშე) რაოდენობა, მათ დასაქმებაზე გამოყოფილი ხარჯი და

2023 წელს დასაქმებულთა რაოდენობა და დღევანდელი ხარჯი, რათა მომხდარიყო შედარება როგორც ფინანსური სხვაობის, ასევე დასაქმებულთა რიცხვის. ასევე, იკითხა სოფელ კვაშტაში სასმელი წყლის სარეზერვო ავზის მშენებლობის განხორციელება როდის იქნებოდა შესაძლებელი.

საკრებულოს წევრმა ჯემალ დავითაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, რა მიმართულებები არ შესრულდა ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2023 წლის III კვარტლის შესრულების დროს და როდის უნდა მოხდეს დამეწყრილ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფა.

მომხსენებელმა ჯემალ ტაკიძემ კითხვებთან დაკავშირებით განმარტა, რომ 95,1% არის შესრულება შემოსავლის ნაწილში, რაც შეეხება შეუსრულებელ 7%, ეს ციფრი მოიცავდა სტატისტიკის მიხედვით ყველა ახალ კონტრაქტს, რომელიც ამ ეტაპზე გეგმა-გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს და 15 დეკემბრამდე იქნება დასრულებული. რაც შეეხება დამეწყრილ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობის საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის საკითხს განმარტა, რომ აქ სხვადასხვა მდგომარეობა იყო, კერძოდ ორი პროგრამა მოქმედებს, პირველი მოქალაქეები, რომლებიც დათანხმდნენ 40000 ლარიან პროგრამაში ჩართვას, თუმცა ამ პროგრამის განხორციელებისას მუნიციპალიტეტი არ იღებს მონაწილეობას, ხოლო მეორე პროგრამა მოიცავს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შვიდ სართულიანი სოციალური სახლის მშენებლობას. მანამდე კი მუნიციპალიტეტს მოუწევს მოსახლეობის ქირით უზრუნველყოფა. აქვე აღნიშნა დღეის მდგომარეობით 140 ოჯახს მუნიციპალიტეტი ქირით უზრუნველყოფს.

საკრებულოს წევრმა გოჩა ჟღენტმა კითხვით მიმართა მომხსენებელს, თუ ხდება მოქალაქეების კონტროლი ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის შეძენის დროს, თუ ექნებათ ვადები განსაზღვრული.

მომხსენებელმა ჯემალ ტაკიძემ კითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროგრამას აჭარის არ მთავრობა ანხორციელებს, შესაბამისად პირობებსაც ის განსაზღვრავს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დადებითად შეფასდეს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2023 წლის III კვარტლის შესრულების ანგარიში.
(განკარგულება N:გ-95.95233281, 24.11.2023 წელი).

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ 12:40 საათზე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: **ამირან ცინცაძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში **ნონა თებიძე**